



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გადაწყვეტილება

ქ. თბილისი

2020 წლის 02 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №2/19-1

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 03 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 აპრილის №2/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე --- კერძო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში არ გადააგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2015 წლის 16 თებერვალს --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა --- და მოითხოვა --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №--) გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და რეესტრის ჩანაწერების გაუქმება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 მაისის განჩინებით (მოსამართლე ---) --- განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2017 წლის 4 დეკემბერს --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა --- და მოითხოვა ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების, --- სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის №-- და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის №--(--) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 08 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 03 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- განცხადება არ დაკმაყოფილდა; განმცხადებელს - - - უარი ეთქვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების, -- სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის №-- და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის №--(--) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- 2018 წლის 26 იანვარს. საქმე -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 06 თებერვალს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 08 თებერვლის -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა -- -- კერძო საჩივარი; უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 03 იანვრის განჩინება.

განჩინება მხარეებს გაეგზავნათ 2019 წლის 03 აპრილს.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

-- -- 2019 წლის 03 იანვრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

### **4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული

დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შექვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება<sup>1</sup>.

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადაც საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.<sup>2</sup>

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

<sup>2</sup> მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიცეპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, გვ. 207

ურთიერთობების „შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს.

დადგენილია, რომ საქმეზე -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2018 წლის 03 იანვრის განჩინება -- -- კერძო საჩივრით გაასაჩივრა 2018 წლის 26 იანვარს. საქმე -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 06 თებერვალს - კერძო საჩივრის შესვლიდან 11 დღის შემდეგ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქმისწარმოების პროცესში საჭირო ხდება სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის დადგენილების მიღება, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების უზრუნველყოფისაკენ და ემსახურება საქმეზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას და ამ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. სწორედ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კერძო საჩივრის ინსტიტუტს. კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის II თავი არ ითვალისწინებს კერძო საჩივრის ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნისათვის კონკრეტულ ვადას და უთითებს მხოლოდ ზოგად წესზე (417-ე მუხლი კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს), თუმცა აღსანიშნავია, რომ კერძო საჩივრის გადაგზავნასთან მიმართებით დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმადაც საქმე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 დღისა, გადაეგზავნება სააპელაციო სასამართლოს.

მოცემულ შემთხვევაში მართალია მოსამართლემ კერძო საჩივარი ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში გადააგზავნა 6 დღის დაგვიანებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს ისეთ ვადას რის გამოც მიზანშეწონილად შეიძლება იქნეს მიჩნეული მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემა.

ამდენად, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

## 5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭრს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური

სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის მეორე პუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №2/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

### გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი